№ 51 8 მარტი, ხუთშაბათი 1866—1879 8 მარტი, ხუთშაბათი № 51

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. Бареше мцховрebтаѳтвис: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Цалкე номери ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ერთზე—1 კაპ., ერთ-მეორეულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩუეულებრივ ცალ ცეროთ—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილნი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება"

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

გაზეთის ფასი

მთელის წლისა	8 მან.
ექვსის თვისა	5 მან.
სამის თვისა	3 „
ერთის თვისა	1 „

პირველი მარტიდამ წლის დამლევამდინ 6 მან.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნესრედაქციაში წარმოდგენილი

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

პეტერბურღი, 5 მარტს. ბრაფი ლორის-მელიქოვი 4 მარტის ტელეგრამმით გვაცნობებს, რომ ეპიდემიით ავათ-მყოფებთაგან 81 კაცი მორჩა ვეტლიანის სტანციაში. ნიადაგისა და ჰავის გარემოება, ხალხის ავლა-ქონება, სიფაქიზე და კარგი სადგომები გვარწმუნებენ, რომ ქამი სხვა ადგილიდამ არის გადმოტანილი. ავათ არავინ არის.

სეგედინი, 5 მარტის. 10,000 შენობიდამ, ქალაქში 3,200 დაინგრა. ამ რიცხვიდამ 1,800 სახლები არის მცხოვრებთ სადგომი. 1,900 კაცი დაიღუპა.

ვენა, 5 მარტს. იმპერატორი ფრანციოსები წავიდა სეგედინს. მდ. ტისსამ ცოტა დაიკლო.

პეტერბურღის ბირჟა, 6 მარტს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	96	50
მეორე	96	50
მესამესი	95	75
მეოთხესი	95	75
აღმოსავლეთის პირ.	94	„
აღმოსავლეთის მეორე	94	„
ოქრო, 1/2 იმპერიალი	8	38
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი	94	50

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	239	25
მეორე სესხის	236	„

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	„	პენსი
ამსტერდამი	„	ცენტი
ბერლინი	„	ჰფენიგი
პარიჟი	„	სანტიმი
კავკასიის კერასინი	„	—

საქართველო

ბესარიონ ღოღაბერიძის სიკვდილზე

ყოველს კაცს, ვინც კი სულით და გულით მინდომებულია საქართველოს წარმატებისათვის, ბესარიონ ღოღაბერიძის სიკვდილი მეტად შეაწუხებდა. ეს იყო ერთი დაუღალავი, გონიერი და უკვეხარი მშრომელი, საქართველოს გულ შემატკივარი კაცი, რომელმაც მთელი თავის სიცოცხლე მხოლოდ ამ კეთილშობილურს მოღვაწეობას მოამდომა. „ჩვენის მომავალის ბედნიერების საფუძვლათ უნდა გახდესო—ამბობდა ნეტარ ხსენებული,—ჩვენის ახალგაზდობის აღზრდა და იმათს გულში სამშობლო სიყვარულის ღრმათ გაღვიძებაო". აი, ამის გულისთვის, სანამდის მასწავლებლათ იყო, კავკასიის აქეთა მხარის სამოსწავლო რჩევაში მუდამ იმ აზრს იცავდა, რომ, თუ გვინდა ხალხის განათლება მტკიცე ბურჯზე დავამყაროთ, ხალხს უნდა მივსცეთ პირველ-დაწყებითი განათლება თავის ენაზეო. მაშინ ის დრო იყო, ისეთი საშიში პერიოდი, როცა უსინიდისო მასწავლებლები, რომელნიც სისხლით და ხორცით არ იყვენ დაკავშირებულნი ჩვენს ქვეყანასთან და არც გული შესტკივოდათ იმის ბედ-ილბალისათვის, მხოლოდ სარგებლობდენ თავის მდგომარეობით და უფრო სარგებლიანს ალაგებს ეძებდენ მასწავლებლობაში, ვინამც სარგებლობის მოტანას ახალგაზდობისათვის. ამ დროს რომ გეთქვა ახალგაზდობას უნდა მიეცეს განათლება იმ ენაზე, რომელიც იმას ესმის და დედის ძუძუსთან შერგებიაო, მაშინვე ცუდს განზრახვათ ჩამოგართმევდენ და დაიწყებდენ ჩურჩულს: ამ კაცს უნდაო ქვეყნის შფოთი და ახლანდელ-დაწყობილების წინააღმდეგ მოქმედებაო. ამისთანა დროს ჯერ კიდევ ჩვენს ქვეყანაში იმდენათ არ გაედგა ძირი განათლებას და სწავლა-მეცნიერებას, რომ რიგიანი პასუხი გაეცა კაცს ლიტერატურაში ამგვარ ვაჟბატონებისათვის. ამ დროს ბესარიონ ღოღაბერიძე იდგა უცხო მასწავლებელთ წრეში თითქმის მარტო-დამარტო, იმას თითქმის არ ჰყავდა მეგობრები და თანამგრძნობელები, რომ შეძლებულ იყო ხმის ამოღებით ბრძოლა უპატიოსნო მიმართულებასთან, უპატიოსნო მასწავლებლებთან. მაშასადამე ამ დროს იმას ეჭირვებოდა დიდი სიფრთხილე, რომ მტრები არ გამოსჩენოდენ და არ დაეკეტათ იმისთვის მაშინდელი სასწავლებლის კარები. ის იმ დროს ძალიან ძვირფასი კაცი იყო ღემნაზიაში ჩვენი ახალგაზდობისათვის. ამიტომაც ის ბევრს სულის ტკივილს და გულგახეთქილობას ითმენდა თავის ურიგო მასწავლებელ ამხანაგებისაგან; მაგრამ მაინც დრომდის მოთმინება არჩია, რადგან თავის კმაყოფილად ცხოვრებაზე უფრო მაღლა საზოგადოების სიკეთეს და ჩვენის ახალგაზდობის წარმატების საქმეს აყენებდა. ამის გულისთვის ის დაუტრიალდა თფილისის ღემნაზიის ახალგაზდობას, დაუწყო იმათ სწავლება კლასებში, ქუჩებზე, ბულვარზე, თავის სახლში. 1860 წლებში ბესარიონ ღოღაბერიძეს კაცი ვერ ნახავდა მარტოთ გავლილს. იმას მუდამ თან დასდევდენ მისი მოყვარული შაგირდები, რომელნიც იმის კეთილი გულით და სწავლებით აღტაცებულნი მუდამ დღე იძენდენ იმისგან ახალს სწავლა-მეცნიერებას. ბესარიონიც ძალიან მომზადებული იყო ამის გულისათვის; თავის დაუღალავი შრომით იმას ბევრი სწავლა ჰქონდა შეძენილი; იმის საკვირველი მესხიერება ბრავალს ისტორიულს და ბუნების მეცნიერულს ფაქტებს იტევდენ, რომ განცხოველებულ წიგნათ წინ დადგომოდა თავის მოწაფეებს. ამას გარდა ბესარიონ ღოღაბერიძე საკვირველი უმანკიერო და პატიოსანი ხასიათის კაცი იყო. ეს ორი უებარი თვისება იმ

დროს სწორეთ კეთილ-გარემოებას მოევლინა მაშინდელს ახალგაზრდობისათვის. ის იზრდებოდა ბესარიონ ლოლაბერიძის წარჩინებულ გონებითი და ზნეობითი საზრდოთი.

მართლაც ამ კარგმა საზრდომ დღეს კარგი ნაყოფი გამოიღო და კიდეც ბევრს კარგს მოველით იმისგან მომავალში. მთელი თავის სიცოცხლე ამ ჩინებულმა საზოგადო ასპარეზზე მოქმედმა კაცმა მხოლოდ საზოგადოების სამსახურს შესწირა. იმან შეიტანა ცოცხალი აზრის სული გიმნაზიაში, იმან ჩაუნერგა მაშინდელს საქართველოს ახალ მოზარდს ქალებს უფრო საფუძვლიანის სწავლით თავის წრთნის სურვილი, აუნთო მათ გულში თავის ქვეყნის სიყვარული, ეცადა სახალხო შკოლების უკეთესს საფუძველზე დაარსებას; მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ღვაწლი ამ კაცმა დასდვა თავის ქვეყანას ქუთაისის საადგილ-მამულოს ბანკის დაარსებით და სოფლის ბანკების ხელის შეწყობით. დღეს ჯიხაისის სასოფლო ბანკი მხოლოდ ამ კაცის მეოხებით არსებობს. ამდენი კეთილი საქმის მოქმედს კაცს ბევრი სიამოვნება არ ჰქონია თავის სიცოცხლეში. მომეტებული ნაწილი ახალგაზრდობისა, რომლისგანაც ის მოელოდა სიცოცხლეშივე თავის ღვაწლის დაფასებას, თუმცა გულში დიდს პატივს სცემდა იმის მოღვაწეობას, მაგრამ იმას არ უნდოდა, ეს პირად ეჩვენებინა და ხშირად სანდურავს უცხადებდა—მხოლოდ იმ აზრით, რომ ამ კეთილშობილს, დაუღალავს გვამს კიდევ უფრო მეტი ეშრომა. მაგრამ კაცი ხომ კლდე არ არის. რამდენათაც იმისთვის ძვირფასი იყო საქართველოს ერის სიკეთე, იმდენათ უფრო გულსატკენი და შესაწუხებელი გახდა იმისთვის ახალგაზრდობისაგან სანდურავის გაგონება. დაუღალავმა შრომამ და ამ სოფლის დაუნდობლობამ ბოლოს ამ ჩინებულს კაცსაც უდროოთ ვაუხეთქა გული და მოუღო სიცოცხლე.

ესრეთისვე აქვს ყოველს ქველს მოქმედს და საჩინო კაცს ამ ჩვენს მწიკვლიანს ცხოვრებაში. ნეტარ იყოს, ტანჯულო ძმაო შენი, ხსენება.

გ. წერეთელი

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

იმ კომმისიამ, რომელსაც აქვს მინდობილი საქმე პარლამენტის გადმოტანაზე ვერსალიდამ პარიჟში გადასწყვიტა, რომ თავის მოხსენებაში ის მოითხოვს კონსტიტუციის მე-9 მუხლის გამოცვლას. ამ მუხლის ძალით პარლამენტის რეზიდენციათ არის ვერსალში. ეხლა ეს კომმისია მოითხოვს კონგრესის (ორივე პალატის) ერთად შეყრას, სადაც ეს მე 9 მუხლი კონსტიტუციისა უნდა გამოიცვალოს ისე, რომ პარლამენტის ჩვეულებრივი რეზიდენციათ იყოს პარიჟი და ვერსალი კი შემთხვევითი და საჭიროებითი. მინისტრების პრეზიდენტი ვადინგტონი თანახმა არის ამ კომმისსიის გადაწყვეტილებისა.

ინგლისი

ლონდონის გაზეთებში არის აწერილი ერთი მიტინგი, რომელიც 4 მარტს (ახალ. სტ.) შედგა დამბეტს. ამ მიტინგში ქალებისთვის პოლიტიკურ უფლებაზე იყო სჯა. ორმა მანდილოსანმა ლიდია ბეკერმა და დოუნიგმა წარმოსთქვეს სიტყვები რომლებშიაც ისინი თხოულობდენ რომ მიეცათ ქალებისთვის პარლამენტის წევრების ამორჩევის უფლება. პირველმა ამათგანმა სთქვა რომ „თუ ქალებს ექნებათ ამორჩევის უფლება, მაშ გადასახადიც არ უნდა ემართოთ იმათთაო. ეხლანდელი კანონება 16 მილიონ ქვეშევრდომს ართმევს თავის აზრის პარლამენტში მიწევას. ქალები რომ შევიდოდნენ პარლამენტში ისინი ასწავლიან კაცებს, რომ ზარბაზნით და თოფებით მარტო კი არ უნდა ამ ქვეყნის უთანხმოების შერიგებაო“.

მეორემაც ამ. კილოზე ილაპარაკა და დასძინა რომ ქვეყნის კეთილ-დღეობა ბევრს მოიგებდაო ამ ნაირათ საქმის გადაწყვეტიდამო.

შვეიცარია

შვეიცარიის პალატებში ადგილობრივ მცხოვრებთ შემოუტანიათ პეტიცია (თხოვნა) სიკვდილით დასჯის კანონის აღდგინებაზე. ამაზე ფედერალურ რჩევას წინადადება მიუცია პალატებისთვის, რომ ამ პეტიციებს არავითარი ყურადღება არ მიაქციონ.

სამართალი

ქუთაისის ოლქის სასამართლო

ბრალდებულობის აქტი *)

(დასასრული)

საჩხერიდამ სარრა მოდებაძის გვამის წაღებაზე და დარბაიძის სოფელში დაგდებაზე თეოდორე და სოლომონ მოდებაძისა და ზაქარია დარბაიძის ჩვენებიდამ სჩანს, რომ სარრა მოდებაძის დაკარგვის წინადღეს იმათ გაუვლიათ იმ ადგილას, სადაც 6 აპრილს იპოვეს სარრას გვამი, მაგრამ იმათ იქ არ უნახავთ არავითარი გვამი. გამოძიებით აღმოჩნდა შემდეგი: მოწმობის ივანე ბარილაძისა და მაქსიმე დარბაიძის ჩვენებით საჩხერის გზაზე, იმ ადგილიდამ სადაც იპოვეს სარრას გვამი 76 ნაბიჯზე იყო ცხენის კვალი. გზიდამ 80 ნაბიჯზე ეს კვალი დაიკარგა რადგანაც ამ ადგილას მინდორი იყო მოხნული ადგილის შემოწმების წინათ. პოლიციის პრისტავისგან ამ ადგილის შემოწმების თაობაზე შედგენილი პროტოკოლი არის თანახმა ამ ჩვენების დიაჩოქმა იოსებ იაკობის შვილმა აჩვენა, რომ საჩხერეში ებრაელების სინაგოგის [illegible] ერთმა ურიის პატარა ბიჭმა ჰკითხა მეორე ურიას, ილია ხუნდაშვილს: ერთი მითხარ ჩვენებმა იმ ღამესვე წაიღეს იმ წვალებული ბავშვის გვამი? ხუნიაშვილმა ამისი პასუხათ ისეთი შემოკრა ამ პატარა ბიჭს, რომ ის იქვე დაეცა. ამასთან დამკვრელმა უწოდა მას „ხაიურათ“ (ვირო) ამ მოწმის ჩვენებას ამტკიცებს მოწამე დიმიტრი აბაშიძე, რომელმაც განაცხადა, რომ 6 იანვარს იოსებ იაკობიშვილმა უამბო მას როგორ ერთმა ურიამ დაკრა ერთ პატარა ბიჭს წვალებული ბავშვზე ამბის კითხვისთვის. მოწმების ივანე და გრიგოლი წერეთლების ნაჩვენებიდამ სჩანს, რომ 6 აპრილს, ღამით, გათენების წინათ, დარბაიძისა და საჩხერის შუაგზაზე იმათ შემოხვდნენ ორი ურიები, რომელთაგან იმათ იცნეს მოშა ცოციაშვილი. ერთს ამ ურიებთაგან მოწმების ჩვენებით, მოქონდა ხურჯინი.

გამოძიებაში ებრაელმა მოშა ცოციაშვილმა არ იცნო თავის თავი დამნაშავეთ საჩხერიდამ სარრასი გვამის წაღებისა და დარბაიძეში დაგდებისა. ის 6 აპრილს, ღამით, იყო საჩხერეს და არსად არ წასულა, რადგანაც პასექზე იმათი სარწმუნოება უკრძალავს მათ სხვაგან მყოფობას.

ეს თავის გამართლება არ არის ყურადღებაში მისაღები. ჯერ ამის წინაალმდეგი არის ივანე და გრიგოლ წერეთლების ჩვენება. ამათ ხსენებული ურია ნახეს იმ ღამეს გზაზე; მერე ის გარემოება, რომ მოშა ციციაშვილმა სთხოვა მათ არავისთვის არ ეთქვათ, რომ იმათ ნახეს ის იმ ღამეს ხსენებულ გზაზე. ამათ გარდა, ციციაშვილის გამამტყუნებლად არის კიდევ სხვა ჩვენებაები: მოწამე ბასილა ქამუშაძე ამბობს, რომ აღდგომის კვირის ხუთშაბათს იმასთან მოვიდა მოშა ციციაშვილი და უთხრა, რომ იმას ერთი უბედურება შეემთხვა და ამიტომ სთხოვა ეკითხა ხელის გაშინჯვით თუ კარგათ გათავდებოდა მისი საქმე. ამასთან მოწამემ განაცხადა, რომ წინათ ის მკითხავი იყო. მოწამე ვიკტორ იურკევიჩმა გაიგონა, რომ მოშა ციციაშვილი შესჩივლოდა ერთ ურიას. „ჩვენი დამნაშავეება გამოაშკარავდებაო

ამნაირათ საქმეში დართული ფაკტები პირდაპირ ამტყუნებენ 1) ბრალდებულ ურიებს პერევისს ახლო გზაზე მცირე წლოვანი ქალის სარრა მოდებაძის მოტაცებაში და დაბა საჩხერეს წაყვანაში, სადაც ერთი დღე და ორი ღამე ყავდათ ის დამალული შემდეგ როდესაც სარრა მოდებაძისა მოკვდა იმათ წაიღეს მისი გვამი და დააგდეს სოფელ, დარბაიძში და 2) მტყუნდებიან ეგრეთვე მოშა ციციაშვილი და მიხაილ ელიქიშვილი, რომელთაც უმტკიცდება ამ საქმეში გარევა.

რაც შეეხება კანონის წინაალმდეგ მოქცევას და ბრალდებულებით ამაში მონაწილეობის მიღებას ამაზე აი რას ვპოულობთ საქმეში:

ა) კანონით წინაალმდეგი და ძალა-

*) „დროება“ №№ 49 და 50.

დატანებითი მოტაცება გზაზე სარრასი. ამაზე გამოძიებამ ვერ შეიტყო თუ რა მიზანი ჰქონდათ ბრალდებულებს.

ბ) ურიებისგან მათი მსვეერპლის სარრასი გაუპატიურებითი მოქცევა გზაზე დაჭერითა და საჩხერეში ჩამოყვანითა.

გ) სარრა მოდებაძის წვალება ხურჯინში ჩასმითა, რომელშიაც ის იყო 15 ვერსტი გავლის განმავლობაში.

დ) თავისუფლება მოკლებულის სარრასი საჩხერეში ყოლა ერთი დღე და ორი ღამე, რომელთაგან ერთი იყო პასექის ღამე. აქ ყოლის მიზანი გამოძიებას ვერ შეუტყვია.

ე) წინაპირველ გამოძიებას ვერ გამოუკვლევია სარრის სიკვდილის მიზეზი, რადგანაც ექიმს, რომელმაც მოახდინა პირველად სარრასი გვამის გაჭრა ვერ აუწერია სრულათ მედიკურ აქტში სიკვდილის ნამდვილი მიზეზების გამოსაცნობი ნიშნები.

ვ) საქმეში არ არის არავითარი საბუთები, რომლებისაგამო იფიქროს კაცმა, რომ სარრას სიკვდილი ვისგანმე წინ-გაზრახულათ იყოს მონდომებული.

ზ) უეჭველია, რომ სარრას სიკვდილი იყო მისი ძალადატანებითის მოტაცების შედეგი.

და ც) შეუძლებელია კაცმა გამოიცნოს თუ ვის რამდენი მონაწილეობა აქვს ამ საქმეში. ამისგამო არ შეიძლება რომ ეს დანაშაული არ მიეწეროს იმ დანაშაულებს, რომელიც არის 1540, 1541, 1542 და 1543 ულოჟენის მუხლებში მოხსენებული.

ზემორე მოყვანილის საფუძველზე, და თანახმად მე-200 მუხლის მე-XV ტომის 2 წიგნისა სახელმწიფო კანონ კრება 1876 წ. შორაპნის უეზდის, სოფლის საჩხერის მცხოვრებნი, ურიები: ისხაკ მარდახის ძე, ბიჭია შამუელის ძე, შამუელ არონის ძე და მარდახ ისხაკის ძე ხუნდიაშვილები, ისხაკ, მოშა და იაკობ აბრამის ძენი ცონიაშვილები, მოშა მლოვის ძე ცვეციაშვილი და მიხაილ აბრამის ძე მლიქიშვილი ეძლევიან ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამართალში. რადგანაც ისხაკ, ბიჭია, შამუელ და მარდოხე ხუნდიაშვილებმა ისხაკ, მოშა და იაკობ ცვენიაშვილებმა 4 აპრილს 1878 სოფ. პერევისთან, შორაპნის უეზდში, საძაგლის-ხევის გზაზე მოიტაცეს მცირე წლოვანი გლეხის ქალი სარრა მოდებაძისა, ჩასვეს ის ხურჯინში, ზედ დააყარეს ბარგები და ესე წაიყვანეს საჩხერეში, სადაც კანონის წინააღმდეგ ის იყო დაჭერილი ერთი დღე და ორი ღამე და მოკვდა ამისგამო. ეს დანაშაული ისჯება 1540, 1541, 1542 და 1543 ულოჟენის მუხლებით. მოშა მლის ძე ცოციაშვილი ეძლევა სამართალში იმისთვის, რომ დანაშაულის დასაფარავათ ამან მეორე პირის შემწეობით ებრაელების პასექის ღამეში გამოიტანა საჩხერიდამ მკვდარი სარრა და დააგდო სოფელს ღარბაიძეში (14 და 124 ულოჟენიის მუხლები). მიხაილ აბრამის ძე მლიქიშვილი ეძლევა სამართალში იმისთვის, რომ იმან იცოდა საჩხერეში ჩამოყვანა სარრა მოდებაძისა, იმის ნათესავე ურიებთაგან დატანჯულია, და ჰქონდა შეძლება ეცნობა ეს ადგილობითი მთავრობისთვის, მაგრამ არ აღასრულა ეს მისი ვალდებულება. (15 და 125 ულოჟ. მუხლები).

„დროების“ კორრესპონდენტისაგან

სხდომა 5 მარტსა

აი საქმე, რომელზედაც ამ უკანასკნელი დროს განმავალობაში ლაპარაკობს მთელი იმერეთი, რომელმანც აღელვა არა მარტო აქაური, არამედ თითქმის მთელი დედა-მიწის ებრაელები.

გასაკვირველიც არა არის-რა ამ შემთხვევაში: ასში ერთს ვერ ნახავთ ჩვენში, დარწმუნებული რო არ იყოს, რომ ურიებს ქრისტიანის სისხლი ეჭირებათ და ამისთვის ქრისტიანის ბავშვს აწვალებენო; თვით განათლებულებიც კი დაჯერებულები არიან ამაში. მეორეს მხრით, ურიები კარგათ გრძნობენ—რა მძიმე შედეგი ექნება იმათთვის, თუ სასამართლომ მართლა გაამტყუნა ისინი და ამით თითქო დაამტკიცა იმათი ბრალდებულობა; გრძნობენ, რომ მაშინ იმათ აქ, და იქნება არც სხვაგანაც, საცხოვრებელი პირი აღარ ექნებათ.

ამიტომაც ყოველ ღონის-ძიებას ხმარობენ თავის გასამართლებლად: აქაურმა ურიებმა დაიჭირეს ორი საუკეთესო ადვოკატი: უ. ლოლუა და მიქაძე, რუსეთის და სხვა ქვეყნების ურიებმა გამოგზავნეს რუსეთიდამ უ. ალექსანდროვი და კუპერნიკი, გამოგზავნეს თავის ხარჯით ორი მსწრაფლ-მწერალი (სტენოგრაფი), სერბიიდამაც კი მოვიდა კორრესპონდენტიო, ცხრა ენაზე გადათარგმნესო, ამბობენ, გამამტყუვნებელი აქტი, ცალკე წიგნი უნდა გამოსცენ, ყველა გაზეთებში უნდა დაბეჭდონ, ყველგან უნდა მოილაპარაკონ ამ საგანზედ და სხვ. და სხვ.

ისინი ამბობენ:—ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოისპოს ამისთანა უსაფუძვლო ბრალდება ებრაელებზედაო!

ქრისტიანები ამტკიცებენ:—ამ საქმემ უნდა ყველას დაუმტკიცოს, რომ ებრაელები მართლა ქრისტიანის ყმაწვილს აწვალებენ!

მაგრამ მომეტებული ნაწილი აქაური ხალხისა დარწმუნებულია, რომ ურიებს გაამართლებენ, რადგან საქმე თავიდამვე ცუდათ არის წაყვანილიო, გამოძიება სუსტიაო, ექიმის შემოწმება კიდევ უფრო სუსტიო და პროკურორი აბა რას გაუძლებს ოთხს ადვოკატს, რომელთაგანი ერთი ისეთი გამოჩენილია, როგორც უ. ალექსანდროვიო და სხვ.

„ღარღუბალის კიდობანი“ გახსნეს ურიებმა! ბევრისაგან გაიგონებთ ამ სიტყვებს. „ღარღუბალის კიდობანი“, როგორც ამბობენ, არის ისეთი ყუთი, რომელშიაც ებრაელებს ამ გვარ შემთხვევისათვის აქვთ რამდენიმე მილიონი მოგროვილი..

ყველა ამ გარემოებას თუ შევიღებთ მხედველობაში, მაშინ ადვილად გაიგებთ— თუ ინტერესი უნდა აღეძრა ამ საქმეს აქ და რამდენი ხალხი უნდა მოწყდომოდა ოლქის სასამართლოს კარებს, როცა სხდომა გაიხსნა. მართლაც, ერთის კვირის წინათ სხდომის დღემდის არცერთი ბილეთი აღარ იყო (საზოგადოებისათვის სასამართლოს ვიწრო ზალაში სულ 100 ადგილი იყო დანიშნული). ქალები ლეჩაქ-მოხდილი დაეძებდნენ ბილეთებს, იყო ერთი გამწარებული კავალერებისა და ქმრების დევნა აქეთ-იქით: მიშოვნე ბილეთი თორემ შინ არ შემოგიშვებო!

დილიდამვე სასამართლოს კარებზე უანგარიშო ხალხი იყო მოგროვილი; განსაკუთრებით ურიები იყვნენ ბლომათ.

—ღმერთო იზრაელთაო! გაისმოდა ხშირად იმათი ამოხვნეშა.

სხდომა დაიწყო მეთორმეტე საათის ნახევარზე.

სასამართლოს შეადგენენ: ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავს მჯდომარის ამხანაგი უფ. კ ო ლ ჩ ი ნ ი, წევრები: უფ. ფ ი ფ ი ნ ა შ ვ ი ლ ი და კ ა ვ ლ ო ვ ი, (უნდა მესამე წევრიც ყოფილიყო—უფ. გამრეკელი, მაგრამ ავათ გახდა); ამტყუნებს ბრალდებულ ებრაელებს პროკურორი უფ. ლ ი დ ო ვ ი; დამცველები არიან: უფ. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო ვ ი, კ უ პ ე რ ნ ი კ ი, ლ ო ლ უ ა, და მიქაძე; სეკრეტარი გ ა ს ნ ე ვ ს კ ი.

თავსმჯდომარის ბრძანებით პრისტავმა შემოიყვანა ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ნ ი. ესენი არიან ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის დაბა საჩხერის მცხოვრები ურიები: ისაკა ბიჭია, შამუელა და მარდახა ხუნდიაშვილები და ისაკა, მოშა, იაკობა და მოშა მლოს ძე წვენიაშვილები.

მ ო წ მ ე ბ ი არიან: პროკურორის მხრით 68 კაცი, დამცველებისა და ბრალდებულებისაგან გამოწვეულნი—39; ყველა ესენი გამოცხადდნენ სასამართლოში გარდა ექვსის კაცისა.

წაიკითხეს გამამტყუვნებელი აქტი.

ჩვენმა მკითხველმა იცის ამ საქმის გარემოება; მაგრამ მოკლეთ გავახსენებთ მაინც აქტის შინაარსს:

4 აპრილი 1878 წელს სოფ. პერევისის მცხოვრებს იოსებ მოდებაძეს დაეკარგა 6 წლის პატარა ქალი, სახელად სარრა, რომელიც იმდღეს ნასადილევს თავის დასთან მაიასთან ერთად წასულიყო მეზობლისას უმარილის დასაწვავად. საღამოს ეს ქალი დაბრუნებულიყო უკან სახლისაკენ, მაგრამ შინ არ მოსულიყო. ქალი მამამ იმ ღამესვე დაუწყო ძებნა, ჩამოიარა ყველა მეზობლები, იკითხა ჩემი ქალი ხომ არ გინახავთო; მაგრამ არსად გამოჩნდა. მეორე დღეს, მამასახლისის ბრძანებით მთელმა სოფელმა დაუწყო ძებნა; ვერ ნახეს; მხოლოთ მესამე დღეს აღმოაჩინეს სოფლის ბიჭებმა; მკვდარი ქალი იდვა იმ მეზობლის მახლობლად, საიდამაც სარრა დაბრუნდა, ღობის ძირში.

ხალხში გავარდა ხმა, რომ სწორეთ იმ დღეს, რა დღესაც ეს ქალი დაიკარგა და სწორეთ იმ გზაზე, რა გზაზედაც ქალს უნდა გაევლო, შვიდმა ცხენოსანმა ურიამ გაიარაო. ალმოჩნდნენ პირები, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ იმათ გაიგონეს ბავშვის ტირილი და ყვირილი: „ვაიმე, დედა, მიშველე, მიშველე!“ სხვა პირები ამბობდნენ, რომ იმათ ნახეს შვიდი საჩხერელი ურია, რომელთაგან ერთს ხურჯინი ჰქონდა, ამ ხურჯინში ერთის მხრით თხა იყო ჩასმული და მეორის მხრით რაღაც ფართხალობდაო და კვნესოდა; როცა ის დაიკვნესებდა, თხას ყურს მოუსრესდა ცხენზე მჯდარი ურია და ამნაირად ამბავშვის ხმას ჩააჩუმებდაო; იყვნენ პირები, რომელნიც ამბობდნენ, რომ წინა დღეს ეძიეს ბავშვი იმ ადგილზე, მაგრამ ვერა ნახეს-რა, მეორე დღეს კი აქ იგდო ქალიო; იმ ღამეს, უეჭველია, საჩხერეში მიიყვანეს ქალი, იქ აწვალეს და მეორე დღეს ჩუმათ მიიტანეს გვამი და ისევ იქ დააგდესო.

ამ საფუძვლებზედ არის დამყარებული გამამტყუვნებელი აქტი.

თითოეული გარემოებისათვის რამდენიმე მოწამეა ასე, რომ ყველა მოწმეები სულ 7 გრუპად არიან გაყოფილნი.

მოწმეების დაფიცების შემდეგ სასამართლო შეუდგა ჩვენების ჩამორთმევას. დღეს მიასწრეს მხოლოთ სამი მოწმის ჩვენების ჩამორთმევა.

(გაგრძელება)

განცხადებანი

„ჭკვიანი ქალი“

„ჯაერ ოსტატი“

კამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება მ. ჯორჯაძისა

დაიბეჭდა და ისყიდება საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთად გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

გამოვიდა და ისყიდება

„გუტიაობა“

ვოდევილი აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქ უ თ ა ი ს შ ი—უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

ქუთაისში

კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) სიტყვანი და მოძღვრებანი—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) იგივე, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის (Практическій начальный курсъ рус. языка для (грузинъ—შედგენილი გ. ქ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეიკად.

4) დედა ენა—ი. გოგებაშვილისაგან, 30 კ.

5) სიბრძნე სიცრუის წიგნი. ფასი — — — — — 50 კაპ.

6) ბუნების კარი—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისივე — — — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილი—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანკა, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) ყარამანიანი—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) რძალი მული და მაშენიკები—კომ. თუთაევისა— — — 30 —

15) ქართული კალენდრები 15—

16) სახარება — — — 25—

17) „გუტიაობა“ ვოდევილი აკაკისა — — — — — 20 —

18) „ვაი ჭკუისაგან“ კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი გ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —

19) სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი — — — — 30 —

20) მგოსანი—ლექსები—20 —

21) ანუკა ბატონიშვილი 20 —

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვეშ

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური. . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი. . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი. . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხმი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 6 მარტს.		
ფქვ. თეთ. ბანჯიხა, ფთ.	1	60
ფქვილი წითელი . . .	1	20
ქერი ფუთი	1	10
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
—ამერიკისა, ფუთი . .	8	40
გაპენტილი ბამბა ფუთი.	9	70
მატყლი თუშური ფუთი.	6	50
—თარაქამისა ფუთი . .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონი, ფუთი	5	60
ქონის სანთელი ფუთი .	7	50
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
—ცხვრისა, ლიტრა . .	1	8
სპირტი ვედრო	4	60
შაქარი, გროც. ფუთი .	7	45
—ფხვნილი ფუთი . . .	5	60
ყავა გრძელი, გირვ . .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	70
თამბაქო, ხაშური ფთ.	7	50

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბარ ლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიურჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ., ქიურჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი- შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 7 Марта 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი, რედაქტორი ს. მესხი.